20.11.2020

# ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2020 წლის ოქტომბერი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 1.9 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე ფასების 2.4 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 6.5 პროცენტით გაიზარდა. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასები გაიზარდა 7.9 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე 8.3 პროცენტით. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე ფასები შემცირდა 7.3 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის ოქტომბერში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2019 წლის ოქტომბერთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|
| | **სულ** | **106.5** | **6.51** |
| **B** | **სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება** | **92.7** | **-0.24** |
| **C** | **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია** | **107.9** | **6.12** |
| 10 | კვების პროდუქტები | 107.7 | 2.92 |
| **D** | **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი** | **108.3** | **0.64** |
| **E** | **წყალმომარაგება; კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით** | **100.0** | **0.00** |

*რიცხვების  დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.11.2020

**ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო**
**პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი**
(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)




**საკონტაქტო პირი:**
გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge